პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 თებერვალი პარასკევი 1970

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 50-Ე ᲬᲔᲚᲘ • № 42 (14646) • ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ახალგაზრდა მეჩაიე მექანიზატორის თაოსნობა

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ახალგაზრდა მექანიზატორთა და წარმოების ორგანიზატორთა ვალდებულებანი

● აჩიგვარელი მექანიზატორები წელს მოკრეფენ 570 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ● ცნობილი მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია „საქართველოთი“ მოკრეფს 55 ტონას. ● მექანიზატორები დაზოგავენ 5 პროცენტ სადიზელე საწვავს. ● სამუშაოთა თვითღირებულებას შეამცირებენ 3 პროცენტით. ● შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 6 პროცენტით.

ამ დღეებში გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში გაიმართა ახალგაზრდა მექანიზატორთა და წარმოების ორგანიზატორთა შეკრება, რომელსაც სამასზე მეტი კაცი დაესწრო.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს მეურნეობის დირექტორის გ. ჩაჩიბაიას მოხსენება **მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისა და ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ.** შემდეგ, აზრთა საქმიანი გაცვლა-გამოცვლის შედეგად შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულებისათვის ნაკისრი ვალდებულებანი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

□ □

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝᲛᲔᲜᲘ! ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაჩაღებული ლენინის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტური შრომის ეს მოძრაობა მიმდინარეობს პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულების დევიზით.

ამჟამად ყველა პატიოსანი მშრომელი დგას ლენინურ შრომითს ვახტზე და ცდილობს ღირსეული წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საქმეში. საბჭოთა ხალხის ამ დიდ შრომაში თავისინი კეთილშობილური წვლილი შეაქვთ გალის რაიონის მშრომელებს. მათს გამარჯვებებში არის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის წვლილიც. მეურნეობამ შარშან მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა და ამ საქმეში ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა დიდი როლი შეასრულეს.

როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობა, მექანიზატორები თავდადებით იბრძვიან ვ. ი. ლენინის საიუბილეო წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ჩვენ, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორები, ახალი ძალით ვიჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას დეგიზით: შარშინ ვზა წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას, ამრომეცნიერებებს, და მეწინავეთა მიღწევების წარმოებაში დანერგვას! ამ მიზნით **ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:**

ჩვენი მეურნეობის ჩაის პლანტაციების მდგომარეობის გათვალისწინებით უახლოეს წლებში სამექანიზაციო ფართობებს გავადიდებთ 500 ჰექტარამდე.

მიმდინარე წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი“ მოვკრეფთ სულ მცირე 570 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 510 ტონისა. სამექანიზაციო ფართობებზე საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე ავიყვანთ 4 ტონამდე.

მოწინავე კომპაქტორილ ქალთა კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადა 24 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრეფს 100 ტონა „მწვანე ოქროს“, ხოლო ამ ბრიგადის ხელმძღვანელი, ტექნიკოს-მექანიკოსი ნაზიბროლა ხასაია „საქართველოთი“ მოკრეფს 55 ტონას. კომპლექსური მექანიზაციის შემდგომი ფართოდ დანერგვისათვის უფრო სრულყოფილად, მაღალი წარმადობით გამოვიყენებთ არსებულ ტექნიკურ დონეს, შესაძლებლობას. წარმოებისაგან მოუწყვეტლად უფრო მეტად ავამაღლებთ მექანიზატორთა კვალიფიკაციას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ყველა საჭირო იარაღ-მანქანის რემონტს დავამთავრებთ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებამდე 20 დღით ადრე.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შედეგად 80 პროცენტით გავაფართოებთ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოყენების კოეფიციენტს. სწრაფ საცხებს ეკონომიურად ხარჯვით და უქმი სვლების შემცირებით დავზოგავთ 5 პროცენტ სადიზელე საწვავს, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებას შევამცირებთ 3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 6 პროცენტით.

მუდმივად ვიზრუნებთ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის. ფართოდ გავშლით მუშაობას ახალგაზრდობაში პროფესიის დაუფლებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

ძალ-ღონეს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ ხუთწლიანი გეგმა შევასრულოთ ვადამდე — 1970 წლის ივლისისათვის. სეზონის ბოლომდე მოვკრეფთ და სამშობლოს მივცემთ 16.018 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთლის ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 14.586 ტონისა. წელს სახელმწიფოს მივუყიდით 3.250 ტონა ჩაის ფოთლს.

უფრო გავაუმჯობესებთ ახალგაზრდობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, მკვეთრად ავამაღლებთ წარმოებაში თვითეული მუშაკის ავანგარდულ როლს, განვამტკიცებთ შრომის და სახელმწიფოებრივ დისციპლინას.

„ჩვენ, ახალგაზრდა მექანიზატორები და წარმოების ორგანიზატორები პრწმუნა ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს თაოსნობას მხარს დაუჭერენ რსპუბლიკის მეჩაიეობის მეცნიერები და პრაქტიკოსები, ყველა გულშემატკივარი ჩვენი ახალგაზრდული ვალდებულებების, იბრძოლებენ 1970 საიუბილეო წლის გეგმების ხანამდე შესრულებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

საქართველოს მეჩაიეობის მეურნეობების მექანიზატორებო! მთელი ჩვენი ენერგია, ცოდნა გონივრულად მოვახმაროთ სამამულო ჩაის წარმოების გადიდებას, ქართული ჩაის ხარისხის ამაღლებას, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად!

ვალდებულებები განხილული და მიღებულია გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ახალგაზრდა მექანიზატორთა და წარმოების ორგანიზატორთა შეკრების მონაწილეთა მიერ.



სურათზე: აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოწინავე მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია, რომელმაც პირობა დადო წელს „საქართველოთი“ მოკრიფოს 55 ტონა ჩაის ფოთოლი.

კომუნისტის აქტივობის ძალა

ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲮᲚᲘᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲬᲠᲔᲑᲐ. ᲐᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ... ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲣᲚᲐᲒᲠᲘᲚᲝᲑᲡ ᲘᲩᲔᲜᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ?!

რა თქმა უნდა, კომუნისტის გულგრილობა, პასიურობა, რა საფუძველიც უნდა ჰქონდეს მას, არასოდეს არ არის გამართლებული. მაგრამ როცა ვოისმენთ სატყუვებს, ჩემს ნათქვამს რა ფასი ექნებაო, უმალვე რწმუნდები, — ამ ორგანიზაციაში როდი ზრუნავენ იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტის ღაღი და ხასარგებლო აზრი პრაქტიკულ საქმედ იქცეს.

და, პირიქით, იქ, სადაც ყოველთვის გულმხურვალედ, გულისხმიერად ეკიდებიან ყოველი ამხანაგის შენიშვნას, ხურვილსა და წინადადებებს, იქ მაღალია კომუნისტთა აქტივობაც, ფრთებს ისხამს მათი ინიციატივა და თაოსნობა.

გასულ წელს მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექციის წინაშე კომუნისტებმა დააყენეს საკითხი: მატყლის პირველადი დამუშავების წარმოებაში ტავროს ამომრჩევი კონვეიერი დავდგათ. ამ წინადადების საწარმოში გულთბილად მოეკიდნენ, კონვეიერი დადგეს და იგი მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტსაც იძლევა.

კომუნისტები ხალისით გამოთქვამენ თავიანთ აზრს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაშიც. 28 ნოემბერს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტმა გ. ნანეიშვილმა უმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პოლიეთილენის საცობები, რასაც მათ პლასტმასის ქარხანა უმზადებდა, უხარისხო იყო. ეს კრიტიკული შენიშვნა ყურად იღეს ქარხნის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, უშუალო და ახლო კონტაქტი დაამყარეს პლასტმასის ქარხანასთან, და ეს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წარმოებისათვის დადებითად გადაწყდა.

სწორედ ასეთი მაგალითები, როცა კომუნისტის ყოველმხრივ აწონილი, ღრმად მოფიქრებული აზრი მნიშვნელოვანი საქმის დასაწყისად იქცა და ხელი შეუწყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ცოტა როდია. კომუნისტების ინიციატივისა და აქტივობის შედეგი გვხვდება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. ბევრ შრომითსა და შემოქმედებით კოლექტივში.

ეს ინიციატივა და აქტივობა კი განსაკუთრებით გაფართოვდა ამ უკანასკნელ წლებში. რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას იჩენენ, რომ თვითეული კომუნისტი უფრო აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ორგანიზაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში, გულგრილი არ იყოს ნაკლოვანებებისადმი, გაბედულად გამოთქვამდეს საღად მოფიქრებულ აზრს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ყოველივე ამას თვალნათლივ მოწმობს ამ ცოტა ხნის წინათ გამართული პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. გაწეულ მუშაობას ანალიზს რომ უკეთებდნენ, სამეურნეო მოღვაწეობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების მომავლის ამოცანებს რომ განსაზღვრავდნენ, კომუნისტები ნაყოფიერად იყენებდნენ სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებას — შეეტანათ წინადადებები, გაბედულად გამოეთქვათ კრიტიკული შენიშვნები, დაეცვათ საკუთარი აზრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების უდიდესი როლი. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, რომ მუდამ წარმატებას აღწევენ ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც კოლექტივის ამოცანების შემუშავებაში ფართოდ ებამენ კომუნისტების სულ უფრო მეტ რაოდენობას.

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქისა თუ სოფლის მშრომელთა კოლექტივები, მთელი რაიონები და ოლქები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ ლენინური საიუბილეო წლის აღსანიშნავად. პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანა ის არის, რომ დარაზმონ კომუნისტები, ყველა მშრომელნი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

როგორც ცნობილია, კომუნისტი თავის ავტორიტეტულ აზრს, უპირველეს ყოვლისა, პარტიულ კრებაზე გამოთქვამს. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც გულდასმით აღრიცხავენ, ანალიზს უკეთებენ და სათანადო ორგანიზაციებს გადასცემენ ზოშების მისაღებად კრებებზე, პლენუმებსა თუ კონფერენციებზე გამოთქმულ კომუნისტთა ყოველ ძვირფას წინადადებას. მთელი რიგი სპეციალურად ამ რაიონული პარტიული კომიტეტები პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე სპეციალურად განიხილავენ კომუნისტთა შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების საკითხს და პრაქტიკულად ისწრაფვიან, რომ ისინი დროულად განხორციელდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფაქტებს, როცა კრიტიკული შენიშვნები წლიდან წლამდე მხოლოდ კრებების ოქმებში შეაქვთ ხოლმე, პრაქტიკულად კი საქმის გამოსწორებისათვის არავითარი ზრუნვა არა ჩანს.

ენგურჰესის კაშხალშენის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სამართლიანად გააკრიტიკეს პარტბიურო იმის გამო, რომ მან ვერ მიაღწია ყველა უბანზე კომუნისტების გონივრულ განაწილებას. მაგალითად, თუ მშენებლობის პირველ უბანზე 65 კომუნისტი მუშაობდა, მესამე უბანზე კომუნისტთა რაოდენობა მხოლოდ 4 იყო. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, ამ საჭირო წინადადების განხორციელებისათვის კი დღემდე „ვერ მოიცალეს“.

საჭიროა ყველგან შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, როცა თვითეული კომუნისტი მტკიცედ იქნება დარწმუნებული, რომ მის ყველა კრიტიკულ შენიშვნას დიდი პატივისცემით და ყურადღებით მოეკიდებიან, რომ მის მიერ მხილებული ესა თუ ის ნაკლი აუცილებლად გამოსწორებული იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია: „კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება ფერხდება იმით, რომ პარტიული კომიტეტები, ხელმძღვანელი მუშაკები ზოგჯერ უყურადღებით არ ეკიდებიან კომუნისტების შენიშვნებსა და წინადადებებს. ცალკეული ხელმძღვანელები მტკივნეულად განიცდიან კრიტიკას, არ ჰყოფნით ტაქტი და პარტიული აღზრდა მოუსმინონ ამხანაგებს“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გულდასმით უნდა ვამზადებდეთ კრებებს, ვზრუნავდეთ, რათა ისინი ყველგან მომდინარეობდეს ორგანიზებულად, აზრთა თავისუფალი და საქმიანი ურთიერთგაზიარების, მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებაში. საჭიროა საკითხების მომზადებასა და განხილვაში ფართოდ ჩავებათ რიგითი კომუნისტები, შევქმნათ საჭირო პირობები იმისათვის, რომ ისინი უფრო ზშირად გამოდიოდნენ კრებებზე, გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს.

მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მეტად დიდმნიშვნელოვანია ის, რომ თვითეული წინადადების გათვალისწინებით და შემდეგ კომუნისტთა კოლექტიური აზრის საფუძველზე კრებები იღებდნენ კონკრეტულ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, ყოველმხრივ აუმჯობესებდნენ, მაღალ დონეზე აწყობდნენ შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც საკითხი განხილულია, უმრავლესობის ნება გარკვეულია და გადაწყვეტილება მიღებულია, პარტიის ყველა წევრი ერთი კაცივით უნდა მოქმედებდეს პარტიაში არ შეიძლება იყოს დაუოფა გამკრიტიკებლებად და მოშუშავეებად.

თვითეული კომუნისტი მოვალეა არა მარტო აზრს გამოთქვამდეს, არამედ აქტიურად, მთელი მონდომებით მონაწილეობდეს დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებაში! აი რა არის მთავარი!

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით თბილისში იმყოფება „სოიუზ-6“ კოსმოსური ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. შონინი.

18 თებერვალს კოსმონავტი მფრინავი გ. ს. შონინი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

შეხვედრას, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუნძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ვ. სიხარულიძე და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. გ. შარაშიძე.

(საქრონ.).

სრულიად საკავშირო ჯილდო რკინიგზელებს

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მგზავრების თბილისის განყოფილების კოლექტივმა რკინიგზელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1969 წლის მეოთხე კვარტალის შედეგებით მოიპოვა პირველი ადგილი და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მას შეეხება აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მას შეეხება აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

18 თებერვალს ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრში გაიმართა რკინიგზის თბილისის განყოფილების მუშათა და მოსამსახურეთა საზეიმო კრება. კრება გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის თბილისის განყოფილების რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ნეფარიძემ.**

სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს **გ. ჭადაგიძეს.** მან მხურვალედ მიუღოცა კოლექტივს მაღალი ჯილდოები და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა განყოფილების უფროსს **ლ. ვარდოსანიძეს.**

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე **დ. ილურიძე,** თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ინჟინერი **კ. ბეჭვაია,** ხაშურის საგაგონო დეპოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ი. კიკნაძე** და სხვები. გამოსულებმა ბირობა დადეს, რომ ხუთწლედის უკანასკნელ წელს კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაებენ. განყოფილების კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი აიღო. (საქდესი).

ქართული ყვავილებით შეიმკება გელადის მავზოლეუმი

მოსკოვი, 19 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ. მ. გაბრიაძე). მოსკოვში საქართველოს პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეების ყოფნის დღევანდელი დღე დაიწყო ამაღლებული ცერემონიით. ისინი მოვიდნენ წითელ მოედანზე, რათა პატივი ეცათ კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ხსოვნისათვის.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი საქართველოს წარმოგზავნილებმა გვირგვინით შეამკეს. ალისფერ ლენტზე ოქროს ასოებით წარწერილია: „დიდ ლენინს საქართველოს პროფკავშირებისაგან“.

შემდეგ მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი გაემართნენ უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ. წუთიერი დუმილი... მარადიულ ცეცხლთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეამკეს გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „საქართველო თქვენ მეომრებისადმი მადლობის სიტყვები.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მოედნიდან (ყოფილი მანეჟის მოედანი) ავტობუსები მიემართებიან ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე. აქ, წარმტაც სკვერში, აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც საქართველოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს. ქართველი ხალხის დიდი შვილის — მეგობრისა და ძმობის მომღერლის ძეგლთან გაისმა ძველი ხალხური საგალობლები.

გელადის მონუმენტი

ვ. ი. ლენინის ძეგლი დაიდგმება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში. მისი პროექტი, რომელიც შესრულებულია ლენინური პრემიის ლაურეატის ცნობილი საბჭოთა მოქანდაკის ლ. კერბელის მიერ, დაამტკიცა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. ეს მონუმენტი აღიმართება სოფიის ცენტრალურ მოედანზე.

გრანიტისაგან გამოკვეთილი ათმეტრიანი ფიგურა ბელადისა, რომელიც ტრიბუნიდან მიმართავს ხალხს. განზრახულია ძეგლი აიგოს მიმდინარე წელს.

□ □

რაიონისარელი მაგისტრალი

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ. ყაზახეთში შეიქმნა რადიოსარელეო ხაზების სისტემა. ამ ხაზებმა გადაკვეთეს რესპუბლიკის ტერიტორია დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე — მდინარე ურალიდან ალტაის მთებამდე.

ახლა სატელევიზიო გადაცემებს მოსკოვიდან და ალმა-ატიდან რეგულარულად ნახავენ რესპუბლიკის ყველა ოლქის მცხოვრებლები, ხოლო აღმოსავლეთ ყაზახეთში აგებული რეტრანსლატორების საშუალებით სსრ კავშირის ცენტრალურ ტელევიზიას მეურვეობა მთის რაიონებიც. (საქდესის კორ.).

ახალი ვენახები

ᲑᲐᲩᲝ. (საქდესი). ფიზულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა დაამთავრეს პირველი ათასობით ჰექტარი ვენახის გაშენება. ვენახები გაშენდა ყაზახისა და აზერბაიჯანის სხვა მთიან რაიონებში, სადაც მიმდინარე წლის დამდეგს შეიქმნა 30 სპეციალიზებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, ახალი ვენახები წელს გაშენდება 25 ათას ჰექტარზე.

ლაშქრობა სიუხვისათვის

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ დღე ჩვიახლოებს ღირსშესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ სახელოვან იუბილეს თავიანთ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ აფხაზეთის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. ამ დღეებში სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება.

მოხსენებით „გასული სამეურნეო წლის შედეგებისა და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაობა 1970 წლის ამოცანების შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ა. ღვინჭილია.**

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ლიხნის“ თავმჯდომარემ **ზ. აიბამ,** გალის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ხ. აჭუბარიამ,** ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მებაღეობის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **ა. ვოუბამ,** გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურაფშის“ ბრიგადირმა **ნ. არძინბამ** აღნიშნეს, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გასულ წელს საკრძნობ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. მთლიანად აფხაზეთში დამზადდა 40 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გადაჭარბებით იქნა განაღდებული ყურძნის, ბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, ქვერცხის და სხვა პროდუქციის დამზადების დავალებები.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. კობახია.**

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულებანი 1970 წლისათვის და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათ გადაწყვიტეს სოციალისტური შეჯიბრება განაგრძონ მომდევ ათწლეულში.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

საბჭოთა დელეგაცია იტალიაში

ᲠᲝᲛᲘ, 19 თებერვალი. (საქდესი). „საბჭოთა კავშირის კვირეული“ მონაწილეობისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან 1 მარტამდე მოეწყობა ქალაქ პალერმოში (სიცილიის კუნძული), აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **შ. ე. გუხრაშვილის** მეთაურობით.

ჟიურის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საქდესი). ნაფიც მსაჯულთა კომიტეთურომ „ჩიკაგელი შვიდეულის“ ნაფიც მსაჯულთა ამ გადაწყვეტილებაზე უდანაშაულოდ ცნო ლებამ შეიძლება გამოიწვიოს ხუთ წლამდე პატიმრობა ან ჯარიმა ათი ათასი დოლარის ოდენობით. ორი ბრალდებული ჯ. ფროინი და ლ. უეინერი — გაამართლეს.

დამსახურებული წარმატება

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის დედაქალაქში დიდი წარმატებით მიმდინარეობს გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსისა და მეცნიერების დავით ოისტრახის კონცერტები.

დ. ოისტრახი გამოვიდა როგორც ვაშინგტონის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სოლისტი და როგორც დირიჟორი.

ვინ არის კრებულების გულის პატრონი

ᲑᲝᲜᲘ, 19 თებერვალი. (საქდესი). ყაბადაღებული რადიოსადგურის „სვობოდას“ პატრონები, რომლებიც დასპეკულირდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ ცილისმწამებლური გადმოცემებზე, აშშ-ში იძყოფებიან. რადიოსადგური ეკუთვნის რომელიღაც „ამერიკის განთავისუფლების კომიტეტს“. ამ რადიოსადგურის ერთ-ერთი გადამცემი არის გერმანიის ტერიტორიაზე, ქალაქ ლამპერტჰაიმში, ორი სხვა გადამცემი — ესპანეთსა და ტაივანში.

საერთაშორისო მოკრავი

ლენინიზმი და მსოფლიო-რევოლუციური მუშათა მოძრაობა

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მონოგრაფია „ლენინიზმი და მსოფლიო რევოლუციური მუშათა მოძრაობა (პროლეტარიატის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისათვის ბრძოლის პრობლემები)“. ამ წიგნით იწყება სერიული გამოცემა „საერთაშორისო მუშათა კლასი“.

მონოგრაფიაში გაშუქებულია ფრიად საინტერესო საკითხები: ვ. ი. ლენინის მიერ რევოლუციური მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის პრინციპების შემუშავება, საერთაშორისო მუშათა კლასის მოწინავე ძალების შეკავშირება ლენინიზმის ბაზაზე, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარება და წყრმტეტები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუშათა კლასის ბრძოლას თანამედროვე ეტაპს. ავტორები ყურადღებას მიაქცევენ უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისათვის ბრძოლის პრობლემებს.

მონოგრაფიის პირველი კარი **„ლენინიზმი ჩვენი ეპოქის დროშაა“** ეწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **მ. ა. სუსლოვის** სტატიით „ლენინიზ

მეცნიერული საფუძველი შევუქმნათ შრომას, ნარმოებასა და მართვას

16-17 თებერვალს თბილისის რკინიგზელის სახლში გაიმართა რესპუბლიკური კონფერენცია შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე, რომელიც მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

შესხვალი სტატიით კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ფ. ბროუიძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციის მონაწილენი მოწოდებულნი არიან შეაჯამონ გაწეული მუშაობის პირველი შედეგები, ერთმანეთს გაუზიარონ აზრი, განსაზღვრონ ახალი ამოცანები, მიიღონ რეკომენდაციები, რომლებიც საფუძველად დაედება შემდგომ მუშაობას ჩვენს რესპუბლიკაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

ლიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. შ. მიქიდაძემ.

სამრეწველო წარმოების ტემპის ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საწარმოთა რენტაბელობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, თქვა მან, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა საფუძველზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმაზომიერი დანერგვა. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ითვალისწინებს ახლანდელი შრომის ორგანიზაციის კრიტიკულ ანალიზს და რაციონალური შრომის ორგანიზაციის პროექტირებას, მისი დანერგვისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას. სამრეწველო საწარმოში შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის მუშაობის შინაარსი და ძირითადი მიმართულებანი უნდა იცვლებოდეს ტექნიკური პროგრესის ზეადობაში. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უპოქაში ბევრ ძირითად და დამხმარე ფუნქციას უკვე მანქანები და აპარატები ასრულებენ. ამ პირობებში სულ უფრო მზარდი ხვედრითი წონა აქვს მოწყობილობის გაწყობისა და მოვლის ფუნქციებს, საწარმოო პროცესის მსვლელობისადმი კონტროლს, მუშაობის რაციონალური რეჟიმის შემუშავებასა და ოპტიმალურ დონეზე მის დაცვას. მნიშვნელოვნად იზრდება ადგილი მუშის პასუხისმგებლობა წარმოების საშუალებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის. შრომითი პროცესების ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები, შრომის მეთოდებისა და ხერხების სრულყოფასთან ერთად, ხდება ადამიანისა და მანქანების მოქმედების სწორი შეხამება.

შრომის ორგანიზაციისა და მანქანების, მექანიზმების, აპარატებისა და ხელსაწყოების სულ უფრო მზარდი კავშირი, აგრეთვე მათი ხშირად გამოცვლა ტექნიკური პროგრესის პირობებში განსაზღვრავენ იმას, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემუშავების სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ მოწყობილობის კონსტრუირების, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული აღჭურვილობის, საწარმოო უბნების, საამქროებისა და საწარმოების დაპროექტების სტადიაში.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის მუშაობა ყველაზე სრულ ეფექტს გვაძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ორიენტირდება კომპლექსურად, თუ შრომის ორგანიზაციასთან ერთად უმჯობესდება საწარმოს მართვა, წარმოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია, თქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. მ. ცხაკაიამ, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებს, პრაქტიკულად ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის სამრეწველო საწარმოებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო განვითარებას, და იმ მიზნით, რომ საწარმოების პრაქტიკული დახმარება გაუწიოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვაში, გამოცდილების შესწავლასა და პროპაგანდაში, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ანალოგიური საბჭოები, კომისიები, შტაბები შეიქმნა პარტკომებსა და სარეწველო საწარმოებში, რომელთაგან ყველაზე დიდ საწარმოებში შუშაობენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიები, განყოფილებები და ბიუროები.

ეს ქვეგანყოფები აწყობენ თემატურ გამოფენებს, კონფერენციებსა და სემინარებს, ამასთან პრობაგანდისტულ მუშაობას განამტკიცებს პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული საქმიანობა. მეთოდური ხელმძღვანელობა მთელი იმ მუშაობისა, რომელიც საწარმოებში მიმდინარეობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების განხორციელებისათვის, დაევალა თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტრტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებასა და დანერგვაში ქალაქის საწარმოებს ეხმარებიან მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სპეროექტო ორგანიზაციები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, თქვა შემდეგ ბ. ცხაკაიამ, ახლა ასრულებს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ფართო პროგრამას შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის.

ქალაქის მთელი რიგი მოწინავე სამრეწველო საწარმოების მაგალითებით მომხსენებელმა ცხადყო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლი შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საქმეში, დამსწრეთ გაუზიარა გამოცდილება, რომელიც კომუნისტების დაუგროვდათ ამ დარგში.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა ეკონომიურ ეფექტიანობას შეეხო თავის მოხსენებაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ხ. ა. შარაძენიძე. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამუშაოთა წარმატება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაისმება და გადაიჭრება შესაბამისი სამსახურების შექმნისა და მათი მოქმედების მასშტაბის საკითხი. ამ საკითხს ღიდი ყურადღება დაუთმეს მეტალურგებმა. ამჟამად ქარხანაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე მუშაობენ განყოფილება და ლაბორატორია საამქროების შემოქმედებითს ბრიგადებთან ერთად, როგორც შემადგენლობაში არიან ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები და მოწინავე მუშები. ამხ. შარაძენიძემ ილაპარაკა საწარმოში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების მიხედვით ძირითად ღონისძიებათა შინაარსის შესახებ, მათი დამუშავებისა და რეალიზაციის წესის შესახებ.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბ-ქ დანერგილია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ორასამდე ღონისძიება, მიღებულია თითქმის 700 ათასი მანეთი ეკონომია, განთავისუფლებული და სხვა უბნებში გადაყვანილია 118 კაცი. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელება ქარხანაში მჭიდროდ დაკავშირებულია მართვის სისტემის, მისი ფუნქციებისა და მეთოდების სრულყოფასთან. აუმჯობესებენ მართვის ადმინისტრაციულ, ეკონომიურ და სოციალურ მეთოდებს. დიდი ყურადღება ექცევა ხელმძღვანელი კადრების უფრო ეფექტიანად შერჩევასა და განაწილებას. იყენებენ საქმის შესრულებისადმი კონტროლის ორგანიზაციის მრავალ ფორმას. წარმოების მართვის სრულყოფის ამ და სხვა ღონისძიებებმა საწარმოს საშუალება მისცა მიმდინარე წლის დამდეგიდან შეემცირებინა ადმინისტრაციული სამმართველო აპარატის 173 საშტატო ერთეული, რაც იძლევა 250 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადში.

„ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომა — მეცნიერულ საფუძველზე" — ასეთი იყო თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტრტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბ. ნ. ლოლაძის მოხსენების თემა. ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით, თქვა მან, წარმოება სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, იზრდება მოთხოვნები შეუღლებადი კვანძებისა და დეტალების სიზუსტისა და მათი დამზადების ტექნოლოგიისადმი. ეს ამოცანები უნდა გადაჭრან საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და დარგობრივი ინსტიტუტების მეცნიერმა თანამშრომლებმა. ასგონ თავიანთი საქმიანობა მეცნიერულ საფუძველზე. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რომ წარმოების ორგანიზაციის სამსახურის პერსონალი აგმაყოფილებდეს ისეთ ძირითად მოთხოვნებს, როგორიცაა განვითარების საკმაოდ ფართო ღონე, ანალიზური აზროვნების ჩვენება, ტექნიკური და მათემატიკური მომზადება, წარმოების ორგანიზაციის საკითხებში გარკვევის უნარი. წარმოების ორგანიზაციის დარგის კარგი ინჟინერი გულმოდგინედ უნდა ეძებდეს შესასწავლი საკითხების სწორად გადაჭრას და ამასთანავე ყოველთვის დაკვირვებით ეკიდებოდეს სხვების აზრებს.

წარმოების ორგანიზატორ ინჟინერს, განაგრძობს ამხ. ლოლაძე, უნდა იზიდავდეს თვითონ ამოცანის დაყენება, ფაქტორების აღწერა და შერჩევა, პრობლემის ანალიზი მისი გადაჭრის ყოველი ფაზაში. იგი უნდა ცდილობდეს დასახული ამოცანის ოპტიმალურად გადაჭრას, ამასთან მუდამ ჰქონდეს მხედველობაში საქმის ეკონომიური მხარე როგორც ანალიზის დროს, ისე გადაჭრის ვარიანტის შერჩევის დროს.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვეგანყოფის თანამშრომელნი უნარიანად უნდა გეგმავდნენ თავიანთ მუშაობას, სწორად აფასებდნენ ფაქტორებს, რომელიც ადამიანის შრომითს საქმიანობას ეხება. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვეგანყოფილებში საჭიროა გეყავდეს ყველაზე კვალიფიციური და ნიჭიერი კადრები.

მაგალითად, მანქანათმშენებელ საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს მოწყობილობა წარმოების საშუალებებთან და სამუშაო ძალასთან შეხამებით, როცა იგი საკმაოდ კარგად იცნობს ყველა სამუშაო პროცესს, რომლებსაც ამუამად იყენებენ მანქანათმშენებლობაში.

სამეურნეო რეფორმასა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი, თქვა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. მიქელაძემ. წარმოების დაგეგმვის ახალი წესის თანახმად იმ მაჩვენებელთა ნუსხაში, რომლებიც იგეგმება ცენტრალიზებული წესით და ეძლევა საწარმოებს, არ არის შრომის ნაყოფიერების ზრდის დაკალება. ეს იმიტომაა, რომ საწარმოს კოლექტივს, მის ტექნიკურ და ეკონომიურ სამსახურებს შეეძლოთ დასახონ შრომის ნაყოფიერების გამოლიი გეგმა, განასორციელონ იგი, დანერგონ ცოცხალი და საზოგადოებრივი შრომის რაციონალური გამოყენების, მუშახელის უკეთ განაწილების, პროფესიათა შეთავსების პროცესის სრულყოფის, მუშების რიცხვის გაუდიდებლად პროდუქციის გამოშვების ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. სამეურნეო რეფორმის ამ პირობებში წარმოთშვა მოძრაობა, რომ გამოსაშვები პროდუქციის ზრდა უზრუნველყონ მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში, სადაც შრომის ნაყოფიერება წლითიწლობით დიდდება. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია ისეთი საწარმოების პროცენტი, რომლებმაც ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. მთელ რიგ დარგებსა და საწარმოებში დაბალია მთლიანი პროდუქციის მატების ხვედრითი წონა შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე სამეურნეო რეფორმის გავლენა, განაგრძობს მომხსენებელი, სორციელდება ეკონომიური სტიმულირების ხაზით. ეკონომიური რეფორმა ითვალისწინებს ეკონომიური წახალისების ფონდების შექმნას, წარმოების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. ამ ფონდების შექმნა და მათი სწორი გამოყენება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის ძირითადი წყაროა.

შემდეგ ამხ. მიქელაძე შეეხო შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის თანაფარდობის საკითხებს, თქვა, რომ საჭიროა შემუშავდეს შრომითი პროცესების კვლევის, შრომის რაციონალური მეთოდების დაპროექტებისა და დანერგვის მწყობრი სისტემა, რომელიც გაითვალისწინებენ მრეწველობის შესაბამისი დარგების პირობებსა და კონკრეტულ თავისებურებებს.

ჩვენს საწარმოში, თქვა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ბ. ნ. პიმენოვმა, წარმოების სრულყოფა, მისი განვითარების დონის ამაღლება ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: წარმოების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული დონის ამაღლება, ესე იგი ტექნიკური კულტურის სრულყოფა და შრომის პირობების გაუმჯობესება, ესე იგი მისი კულტურის ამაღლება. შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის მუშაობა მიმდინარეობს ახალი ტექნიკის დანერგვასთან, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასთან, შუშაობის პირობების გაუმჯობესებასთან კომპლექსში. შრომის ორგანიზაციის ვაუმჯობესება მეცნიერულ საფუძველზე განუხრელად არის დაკავშირებული ტექნოლოგიის სრულყოფასთან, შრომატევადობის შემცირებასთან და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

ამ ბოლო ორ წელიწადში ელექტრონიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე ქარხანაში ფართოდ ვიყენებთ პროგრამული მართვის ჩარხებს, რისთვისაც შეიქმნა დაპროგრამების სპეციალური ბიურო. დიდძალი დეტალი მუშავდება დიდი წარმადობის პირის გადასაღებ-საფრეზ ჩარხებზე. მომხსენებელი შემდეგ დაწვრილებით შეეხო ბევრ ღონისძიებას, რომელებიც დაკავშირებულია ქარხანაში ტექნიკურ პროგრესთან, და მაგალითებით ცხადყო, თუ მათ ამავე დროს რა გავლენა მოახდინეს წარმოების კულტურის ამაღლებაზე. მან გვიჩვენა, თუ რა მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის კულტურის საკითხები და სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობის გაუმჯობესების პრობლემები.

თავისი გამოსვლა კონფერენციაზე ბათუმის ელექტრომეჭანიკური ქარხნის დირექტორმა ი. ბ. უნბიძემ მიუძღვნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების ეფექტიანობის ურთიერთის საკითხებს. საწარმოში, რომელსაც ი. უნგაძე მეთაურობს, ხუთი წელია მოქმედებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახური, რომელიც ადგენს ღონისძიებათა

ჯარტიის ეკონომიური პოლიტიკის არსი ის არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველნაირად გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოს მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა...

საწარმოო ძალების გიგანტური ზრდა ჩვენს ქვეყანაში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლა დაბეჯითებით მოითხოვს მეურნეობის გაძღოლის მეთოდებისა და ფორმების შემდგომ სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ეს წლები ეკუთვნის ბევრი ჩვენი თანამემამულის — რომელთა რიცხვში ამჟამად უკვე 700-ს აღემატება — დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემაზე გადასვლის წლები. რეფორმის განხორციელებამ ყველაზე ხელშეწყობა პირობების შექმნა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ქვეყნისა, ეროვნული ეკონომიკის და მართვის სრულყოფის — ინტენსიფიცირებისათვის.

ჩვენ შევეხეთ სტიმულირების დამაძაბრებელ ფაქტორს, რომელსაც ადგილობრივი მმართველობის თუ ეკონომიკური გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების წარმატებით შესრულებისათვის. წლის პირველი დღეებიდანვე, ავიღეთ სწრაფი შრომითი ტემპი, რასაც დამაჯერებლად მოწმობს იანვრისა და თებერვლის პირველი დეკადის მუშაობის შედეგები. ახლა საქართველოს საწარმოებში არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა, რომელიც გამოწვეულია ლენინის იუბილესათვის მზადებით. ჩვენი საწარმოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო დანერგვა. სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის საბალო მეურნეობის ყველა დარგის ბალახიანი ტექნიკური აღჭურვა, უნდა განვამტკიცოთ მეცნიერულ საფუძველზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, წარმოებისა და მართვის შემდგომი სრულყოფით. მიმდინარე წელიწადში ფართო მოცულობით და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის სულ ცოტა მესამედი. ამხ. ფრუნძემ ხაზი გაუსვა იმ ძირითად ამოცანებს, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ იმისათვის, რომ ყველაზე მივაღწიოთ შრომის, წარმოებისა და მართვის ნამდვილ მეცნიერულ ორგანიზაციას. ეს არის ყოველდღიური და ჭმევდითი მუშაობა მეცნიერული ორგანიზაციის იდეების ფართო ახსნა-განმარტებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის, შრომის სამსახურების სწორი დაკომპლექტება, შრომის მოწინავე გამოცდილების გაზიარება, საქმის მდგომარეობის გულწრფელი ანალიზის შემდეგ გეგმების შედგენა მუშაობა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნაწილობრივ შემცირებით, ტექნიკის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის განვითარების დონისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. შეჩერებლივ განსაკუთრებული ყურადღება ამხ. ფრუნძემ მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს შრომის პირობები, ამაღლდეს წარმოების კულტურა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამრეწველო ესთეტიკის საკითხებთან, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებებთან, ისევ ღონისძიებებთან, ჯროც შრომის პროდუქტიულობა იზრდება ძალ-ღონის რაციონალური, და არა მაქსიმალური გამოყენების შედეგად, უნდა ვისწავლოთ სწორი, ფიზიოლოგიურად რენტაბელური მუშაობა.

შემდეგ ამხ. ფრუნძემ თქვა, რომ წლითიწლობით სულ უფრო მწვავედ დგას მართვის უფრო რაციონალური ორგანიზაციის საკითხები. ინჟინერ-ტექნიკური და მართვის აპარატის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია წარმოუდგენელია, თუ არ იქნა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, ფართოდ არ გამოვიყენეთ, კერძოდ, მანქანა — საანგარიშო ტექნიკა.

ამხ. ფრუნძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საწარმოებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის ამოცანები საკმაოდ სავსებით და მთლიანად შეესაბამებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც საზრდასმულია, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის განვითარების გადამწყვეტი სტრატეგიული მიმართულება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება. სახალხო მეურნეობას უნდა ვავითარებდეთ არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ფაქტორების ხარჯზე. ჩვენი განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხებია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ზრდა, ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება და კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანად გამოყენება. დღეს უპირველესი საკითხია შრომის ნაყოფიერების ზრდა ყოველი ღონისძიებითა და განუხრელად. ამხ. ფრუნძემ თქვა, რომ უნდა დაინერგოს შჩეკინოს ქომბინატის კოლექტივის გამოცდილება, რისთვისაც საჭიროა როგორც ორგანიზაციული, ეკონომიური და ტექნიკური, ისევე ფსიქოლოგიური მომზადება.

დასასრულ ამხ. ფრუნძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომ სრულყოფას. ეს მუშაობა უნდა შეუხამონ ღრმა ეკონომიურ ანალიზს, წარმოების ეფექტიანობის გადიდების ღონისძიებათა შემუშავებას. ამის მიღწევის პირდაპირი გზაა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა. და რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გზა უნდა გაუკაფონ ამ მოძრაობას. განავითარონ და სრულყონ იგი.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები რესპუბლიკის საწარმოებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემდგომი დანერგვისათვის.

კონფერენციის მუშაობის დღეებში რკინიგზელის სახლში მოეწყო გამოფენა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე, ტექნიკური კინოფილმების ჩვენება, აგრეთვე კონფერენციის მონაწილეები სპეციალურსიოდ იქცნენ თბილისის მოწინავე სამრეწველო საწარმოებში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ბ. ჯაფარიძე და ა. მ. ლებახუა. (საქრონ.).

მეცნიერება წარმოების სამსახურში



ქრომისა და მანგანუმის წმინდა ლითონების მიღების ახალ პროცესებს ამუშავებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წმინდა ლითონების მეტალურგიის ლაბორატორიის კოლექტივი. ქრომის მიღებამ წმინდა თერმული აღდგენით წარმატებით გაიარა საწარმოო გამოცდა უსტ-კამენოგორსკის კომბინატში.

• • •

სურათზე: უფროსი ინჟინერი თ. აბულაძე და ასპირანტი ზ. მირიჯანაშვილი მანგანუმის ღარიბი მადნიდან წმინდა მანგანუმის მისაღებ დანადგართან.

ფოტო მ. დათიკაშვილისა. (საქრონიკა).

გეოპოლიტიკური მკითხაობა

ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ერთი პროპაგანდისტული მანევრის გამო

„სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების პირობებში იმპერიალიზმი ცდილობს შეასუსტოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობა., იყენებს უთანხმოებებს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, რათა ცალკეს განხეთქილება შეიტანოს მის რიგებში, თავის იდეოლოგიურ მანქანას, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის ხაშუალებებს აყენებს ანტიკომუნიზმის სამსახურში. სოციალიზმის წინააღმდეგ, მთელი პროგრესული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში". — აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირმა.

ამ სიტყვების სამართლება და აქტუალობას განსაკუთრებით ღრმად გრძნობ, როცა კითხულობ დასავლეთში, მეტადრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, უკანასკნელ ხანს გახშირებულ პუბლიკაციებს, რომელთა ავტორები თბზავენ ყოველგვარ ზღაპრებს ვითომდა „საბჭოთა მუქარაზე" ჩინეთის მიმართ და ამავე დროს მჯერლობენ იმის შესახებ, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის რა „სიკეთე" აქვებოდა მეგობრობის დამყარება... ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა", მაგალითად, თებერვლის დამდეგს გამოაქვეყნა მთელი სერია სტატიებისა ამ თემებზე. ამ სტატიებში ყოველნაირად ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ სიმპათია „ტაიმსისა", რომელშაც დიდი ხანია სახელი გაითქვა იმით, რომ მტრულად არის განწყობილი კომუნიზმისადმი, მთლიანად პეკინელ ლიდერთა მხარეზეა, რომლებიც თითქოს ფრად მშვიდობისმოყვარენი არიან, მაგრამ, როგორც განაცხადა, კერძოდ, გაზეთის მთმობილველმა ნეველ მექსუელმა, დღანან სსრ კავშირის მხრივ „რეალური და მომაკვდინებელი საფრთხის" წინაშე.

„ტაიმსის" ეს სტატიები ეხმაურება ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ამდენადვე პროვოკაციულ გამოსვლას. 9 თებერვალს მან ვრცელი „საბჭოთა ჯარები გაშლილი არიან ჩინეთ ჩინეთზე თავდასასხმელად", ამასთან ვითომდა „რუხები თვალთვალებენ ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობასაც".

ასეთსავე აზრებს გამოთქვამენ სხვა ამერიკული გაზეთებიც, რომლებიც ერთბაშად გამიმსჭვალნენ სიმპათიით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზდა ხელმძღვანელობისადმი.

ხაქმე გვაქვს იმპერიალისტური პროპაგანდის ახალ, აშკარად პროვოკაციულ მანევრთან, რომელიც მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ, ხოლო ამასთან ერთად ხალხთა, მათ შორის აგრეთვე იმ ქვეყნების მშვიდობისა და უშიშროების საქმის წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ ანტისაბჭოთა კომბინაციების ინსპირატორები.

ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ეს ახალი პროპაგანდისტული აქცია ყველაზე უფრო ვრცლად ალბათ მაშინ წარმოგვიდგება, როცა გადავწყვეტთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" მთმუშავე საკმაოდ ცნობილი პუბლიცისტის ჰარისონ სოლსბერის ამას წინათ გამოქვეყნებულ წიგნს, რომელსაც მეტად მყვირალა სახელწოდება აქვს: „ომი რუსეთსა და ჩინეთს შორის".

დასავლეთის ბურუაზიულმა პრესამ, თითქოს ბრძანება მიიღო, დაიწყო სოლსბერის ამ წიგნის განდიდება, აქვეყნებს მრავალ სახატბო გამოხმაურებას და რეკლამას უწევს მის ავტორს როგორც გამოცდილ „სოვეტოლოგს". ინგლისური „გარდიანი", მაგალითად, აღნიშნავდა, რომ „ავტორს ნაცნობობას კომუნისტურ სამყაროსთან 20 წელის ხანდაზმულობა აქვს, ვინაიდან ჯერ კიდევ 20 წლის წინ იგი იყო მოსკოვში, როგორც თავისი გაზეთის კორესპონდენტი" და რომ „თავის პროგნოზებში იგი ემყარება რუსთა ცოდნას, რაც ჯერ კიდევ იმ დროს მიიღო, და მათი შეხედულებების გაცნობას, როცა შემდეგ ჩადიოდა საბჭოთა კავშირში".

მაგრამ „პროგნოზები", რომლებიც ავტორს ესოდენ უხვად მოუყვანია თავის წიგნში, სულაც არ შეეხაბამება ამ მრავლისმაუწუველ ხარეკლამო ქება-დიდებას და უფრო წააგავს ექიმებაშურ მკითხაობას, ვიდრე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების პერსპექტივების ფხიზელ, ობიექტურ ანალიზს.

ჰ. სოლსბერის ესოდენ ნაჩქარევად აუღია ხელში კალამი და, როგორც იტყვიან, „სახელდახელოდ დაუწერია" ახალი წიგნი იმ წრეების ზეგავლენით, რომლებიც შიში გრძნობას განიცდიან იმის გამო, რომ შესაძლოა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობაში დაძაბულობა შენელდესო. როგორც წიგნის თვით სახელწოდებიდან ჩანს, ავტორს მიზნად დაუსახავს დაარწმუნოს მკითხველი, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხიშარი შეტაკება გარდუვალია.

სოციალური დაკვეთა, რასაც ახლა ასრულებს სოლსბერი, ფრიად დელიკატურია: თავისი წიგნით იგი, ერთი მხრივ, მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს მოწოდებით „შემთხვევა არ გაუშვან", ისარგებლონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის დაძაბული მდგომარეობით და სასწრაფოდ მოახდინონ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ხელსაყრელი პირობებით; მეორე მხრივ, სოლსბერის ეს წიგნი გამიზნულია ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახლანდელ ხელმძღვანელებს შორის, უხვად აწყდის მათ ყოველგვარ ანტისაბჭოთა მონაჩმახებასა და ჭორებს, როგორიც არის ჩინეთზე სსრ კავშირის „პრევენტიული" ატომური თავდასხმის საფრთხე და ცდილობს დაარწმუნოს ისინი იმაში, რომ მთითური საბჭოთა საფრთხისაგან ხხა შესაძლებელია მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანაბრშრომლობის დამყარების გზით.

სოლსბერი განსაკუთრებულ ძალღონეს როდი ახმარს იმას, რომ თავის წინასწარმეტყველებათა და „პროგნოზთა" სიმართლეში დაარწმუნოს ამერიკელი მკითხველი. მისი არგუმენტაცია, რომლის დაზმარებითაც იგი ისწრაფვის ზეგავლენა მოახდინოს „საშუალო" ამერიკელზე, მდგომარეობს იმაში, რომ ვრცელი ციტატებით და

მოყოლით გადმოსცემს ჩინეთის თანამედროვე პრესის ანტისაბჭოთა გამოხდომებს, საბჭოთა კავშირისადმი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი პეკინელ ხელმძღვანელთა მტრულ ოფიციალურ გამოსვლებს და იმ ანონიმურ ჩინელ „თანამოსაუბრეთა" ბოდვითს ნაციონალისტურ ლაყბობას, რომლებსაც სოლსბერი ეწინააღმდეგება და მაკაოს ფეშენებელურ რესტორნებში ხვდებოდა.

რაც შეეხება პოლიტიკურ სწავლებსა და მსჯელობებს, რომლებიც ავტორის მიერ განკუთვნილია ჩინელ ხელმძღვანელთა ხაყურადღებოდ, არც ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებული ხიახლით, თუმცა ასე თუ ისე იმის ღირსი არიან, რომ მაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

ავტორი როდი მალავს, რომ სურ მალფორდ მაკინდერის გეოპოლიტიკური სკოლის ერთგული მიმდევარია. თუმცა აღიარებს, რომ გეოპოლიტიკური „ფილოსოფია მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ერის იმპერიალისტურ თუ კონტინენტურ მისწრაფებებთან" და ემოქმედა კიდეც თავისი მისამართით შეხაძლო ბრალდებების იმისათვის, რომ მისი ნაწერები „ჩინეთის ხასიათცხლო ხივრცის" შესახებ „შეიძლება გამოიყურებოდ

ჩვენი დღე

გოლდა მეირის რეაქციას

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. (საკუთარი). „ნატო ხელყოფს კვიპროსის სუვერენიტეტს“, „საკვანძო კვიპროსის წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეების დივერსიების შესახებ“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ პოლონეთის ცენტრალური გაზეთები საკვანძო განცხადებას კვიპროსში მოვლენათა სიმწვავის გამო. გაზეთი „ტრიბუნა პარმასი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით უჭერს მხარს კვიპროსის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ სუვერენობას და მოითხოვს კვიპროსში უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, აგრეთვე კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას გარედან რაიმე ჩარევის გარეშე.

პრაღა, 18 თებერვალი. (საკუთარი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები აქცენტებს საკვანძო განცხადების შინაარსის კვიპროსის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის აგრესიული რეაქციის ხრიკების შესახებ. „საბჭოთა კავშირი მოითხოვს ბოლო მოეღოს საერთაშორისო იმპერიალისტური წრეების ძირგამომთხრელ საქმიანობას კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ პრაღის გაზეთები განცხადების ნაწყვეტებს, რომელიც შეიცავს მოწოდებას მშვიდობიანად გადაიჭრას კვიპროსის პრობლემა გარედან ჩაურევლად.

თეირანი, 18 თებერვალი. (საკუთარი). „რუსებმა ამწილეს ნატოს შეთქმულება კვიპროსში ძალადობრივი გადატრიალების მოსამზადებლად“, — წერს გაზეთი „ქეიხანი“, რომელიც განმარტავს საკუთარს განცხადებას კვიპროსის მდგომარეობის შესახებ.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს საკიროდ მიაჩნია ბოლო მოეღოს კვიპროსის საზელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელსაც ეწევიან საერთაშორისო იმპერიალისტური წრეები კვიპროსის შინაური რეაქციის დახმარებით.

ულან-ბატორი, 19 თებერვალი. (საკუთარი). საკუთარის განცხადება კვიპროსის ამბების შესახებ გამოაქვეყნეს მონღოლეთის გაზეთებმა და გადასცეს ულან-ბატორის რადიოსი.

ულან-ბატორის რადიოს კომენტარებში აღნიშნულია, კერძოდ, რომ მონღოლეთის საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს იმპერიალისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მხარს უჭერს კვიპროსის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას კუნძულზე.

□

შეხედულებათა სრული ერთიანობა

პრაღა, 19 თებერვალი. (საკუთარი). ჩეხოსლოვაკია-ბულგარეთის მოლაპარაკებამ ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ ძირითად საკითხზე, ხაზგასმულია კომუნიკეში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის 17-19 თებერვლის მეგობრული ვიზიტის შესახებ.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულითად და ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ჟივკოვმა ორივე კომუნისტური პარტიის სახელით განაკეთეს, რომ ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ თავიანთი ძმური კავშირი, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობასა და შეკავშირებას, მისი ძალისა და ძლიერების განვითარებას, აღნიშნული კომენიკეში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა.

ორივე მხრივ პარტიამ კვლავაც დაადასტურა, რომ სავსებით ეზიარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის მოსკოვის საერთაშორისო თათბირის დასკვნებს. სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო ერთიანობა და სოლიდარობა, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება და სსრკ, კავშირთან გულწრფელი მეგობრობა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას, ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობის, აყვავებისა და უშიშროების გარანტიაა. სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობა და კოორდინირებული მოქმედება ხელს უწყობს გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას ევროპასა და მსოფლიოში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გ. ჰუსაკმა და ტ. ჟივკოვმა განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები. მათ მაღალი შეფასება მისცეს სოციალისტური ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრას 1969 წლის დეკემბერში.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორივე პარტია და ქვეყანა კვლავაც მხარს დაუჭერენ ევროპის უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. ისინი სავსებით უჭერენ მხარს გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან მოთხოვნას ცნონ იგი საერთაშორისო-სამართლებრივ სახელმწიფოდ. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა სოლიდარობა გაეტანათ ხალხთან ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ დაგმეს ისრაელის მზარდი აგრესიულობა და მხარი დაუჭირეს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას.

სოლსბერი სიხარულით ებღაუჭება პეკინის ლიდერების მიერ გამოთქმულ ყოველ ანტისაბჭოთა აზრს. „ზოგჯერ მგონიათ, — აღიარებს იგი, — რომ ჩინეთის პროპაგანდა თანაბრად არის მიმართული მოსკოვისა და ვაშინგტონის წინააღმდეგ“, მაგრამ ჩინელ ოფიციალურ პირთა უყველა საუბარში გატარებულია „მკვეთრი განსხვავება ჩინეთის დამოკიდებულებაში რუსეთისადმი და შეერთებული შტატებისადმი... ამგვარი საუბრების მომხმენნი იმ გრძნობით მიდიან, რომ განსხვავება რუსეთსა და ჩინეთს შორის პრინციპული განსხვავებაა, მაშინ როცა განსხვავება ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ზედაპირულია და თითქმის მთლიანად ტაივანს ეხება“.

სოლსბერი აყალბებს რუსეთ-ჩინეთის სახაზღვრო გამოჭვნის ისტორიას, იმეორებს ჩინეთის ნაციონალისტური პროპაგანდის ცილისმწამებლურ მონაჭორებს საბჭოთა კავშირის მიერ ჩინეთის ვითომდა „ექსპლოატაციის“ შესახებ, სსრ კავშირის მიერ ჩინეთში რაღაც „ტერიტორიულ მატაცებათა“ და ჩინეთის მიწებზე მითითი საბჭოთა პრეტენზიების შესახებ. ამასთან ერთად იგი ცდილობს გაამართლოს შოვინისტური, ბეგემონისტური პოლიტიკა ჩინელ ნაციონალისტთა ტერიტორიული პრეტენზიებისა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

ამავე დროს სოლსბერი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს ჩინეთსა და ამერიკას შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა და აუცილებლობა, ამ მიზნით იგი ამტკიცებს, თითქოს ამერიკა-ჩინეთის წინააღმდეგობანი დროებითი, წარმავალი ხასიათისა და თითქოს ისინი წარმოიშვა მხოლოდ 1950 წელს — მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტაივანის ოკუპაცია მოახდინეს.

ამ ავტორს პირწმინდად ღალატობს მეხსიერება. მას „ავიწყდება“ მოთხსენოს ამერიკის მრავალი ბაზა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის ახლოს, რომლებიც ჩინეთს ემუქრებიან, ომი ვიეტნამში, ამერიკის ჯარების ყოფნა სამხრეთ კორეაში და სხვა მსგავსი „წვრილმანები“. ასეთი „გულმავიწყობა“ ეხმარება სოლსბერის დუმილით აუაროს გვერდი ჩინელი ხალხის ინტერესებსა და ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ მისწრაფებებს შორის ძირეული, პრინციპული წინააღმდეგობის პრობლემას.

თავის გეოპოლიტიკურ მსჯელობაში სოლსბერი დიდ ადგილს უთმობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას; იგი უბოდიშოდ აცხადებს, რომ „მონღოლეთი ნეიტრალიზებულ უნდა იქნას და, შესაძლებლობის მიხედვით, გადაუვაწილ იქნას ჩინეთის მხარეს“. აქვე უნდა ითქვას, რომ სოლსბერი მარტოდმარტო როდია, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ერთგულია სუვერენიტეტის ხელყოფას რომ ამდენს. უკანასკნელ წლებში კაპიტალისტური პრესის ბევრი ორგანო ავრცელებს ჭეშმარიტებისგან დაშორებულ ცნობებს, რომელთა მიზანია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტისათვის სახელის გატეხა. მონღოლეთის გაზეთმა „უნენმა“ არც თუ დიდი ხნის წინათ საკადრისი პასუხი გასცა ამერიკის იუპის საგენტოს 1969 წლის 22 დეკემბრის პროვოკაციულ ცნობას, რომელიც ამახინჯებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას და ცდილობს შეუქმნას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობას დამახინჯებული წარმოდგენა სახალხო მონღოლეთზე.

სოლსბერი თავისი წიგნით პირდაპირ მოუწოდებს შეერთებულ შტატებს ჩაერიონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. „თუ შეერთებულ შტატებს — წერს იგი, — უნდათ სერიოზული როლი ითამაშონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დისპუტში, მათ ცხოველუნარიანი ურთიერთობა უნდა დაამყარონ ჩინეთთან“. ამერიკის ჩარევის მიზანი სოლსბერის მიხედვით ის არის, რომ საკრძნობი გახადოს თავისი გავლენა პეკინში და... შეასძლებლობა მიიღოს წარმოადგინდეს მოსკოვის მიმართ გამაწონწორებელ მხარეს“.

ამრიგად, საბოლოო შედეგად მთელი ეს ვრცელი გეოპოლიტიკური მკითხაობა შეესაბამება იმპერიალისტური წრეების მისწრაფებებს და ისახავს ფრიად პრიმიტიულ მიზანს — დააშინოს ჩინეთის ხელმძღვანელები საბჭოთა მუქარით და უბიძგოს ჩინეთის ხალხლი რესპუბლიკას ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანხმობისაკენ.

თავის გამოსვლაში კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე მოსკოვში 1969 წლის 7 ივნისს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „დიდი



ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. პრაღის კრემლის ხედი ვლტავაზე.

ფოტო ჩტკ-საკ ესისა.

უ თ ა ნ ი ს გ ა მ ო ს ვ ლ ა

შანხაი, 18 თებერვალი. (საკუთარი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა ყველა ქვეყანას მოუწოდა უახლოეს დროში შეუერთდნენ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. გამოვიდა რა დღეს ჟენევის ერთ-სასახლეში განიარაღების კომიტეტის სესიაზე, უ თანმა იმედი გამოთქვა, რომ ხელშეკრულება მალე შევა ძალაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გავრცელების საშიშროება და მოუწოდა ყველა ქვეყანას, რომლებიც არ შეერთებიან ჟენევის 1925 წლის ოქმს ომში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, ხელი მოაწერონ და რატიფიკაცია უყონ მას მომდინარე წლის განმავლობაში.

1970 წელს, აღნიშნა უ თანმა, 25 წელი სრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დღიდან. ეს წელი არის ადრეთვე პირველი წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული „განიარაღების დეკადისა“.

განვლილ ათწლეულს, თქვა უ თანმა, ახასიათებდა გარკვეული კონკრეტული წარმატებები განიარაღების დარგში. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ხელშეკრულებას კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, ღია ხელმოსაწერად ხელშეკრულება ატომური იარაღის გავრცელებლობის შესახებ.

ამასთანავე, აღნიშნა უ თანმა, განვლილ ათწლეულში შეიმჩნეოდა გამალებული შეიარაღების საგრძნობი ზრდა. 1962 წელს მსოფლიოში 120 მილიარდი დოლარი დაიხარჯა შეიარაღებაზე, 1969 წელს ეს თანხა [illegible] მილიარდ დოლარს.

[illegible] გვწერდა, რომ [illegible] მსოფლიოს განვითარებად, ისე განვითარებული ქვეყნების ცხოვრების პირობებზე.

უ თანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეკავების შესახებ.

გამალ აბდელ ნასერი:

ჩვენი სურვილია მშვიდობა

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. (საკუთარი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა მკაცრად დაგმო ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული და ექსპანსიონისტური პოლიტიკა და ხაზგასმით მოქმედების ესკალაცია არაბულ ქვეყნებთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისათვის ბრალი დასდო ისრაელის მმართველ წრეებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიუხედავად, განაცხადა მან, ისრაელი სისტემატურად აწყობს პროვოკაციებს, ბომბავს და ცეცხლს უშენს არაბული ქვეყნების ტერიტორიებს. პრეზიდენტი შეეხო ისრაელის ავიაციის მიერ აბუ-ზააბალის მეტალურგიული ქარხნის ბარბაროსულ დაბომბვას და ხაზგასმით აღნიშნა, ამ ქარხნის ახლოს არავითარი სამხედრო ობიექტები არ არიო.

ისრაელს, განაცხადა მან, ოკუპირებული აქვს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის 20 პროცენტი, იორდანიის ტერიტორიის დაახლოებით 70 პროცენტი და სირიის ტერიტორიის დაახლოებით 10 პროცენტი.

შემდეგ ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი დღემდე უარს ამბობს იმოქმედოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის სფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა განაცხადეს, რომ მათ სურთ ისრაელის საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდეს.

პრეზიდენტმა ნასერმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო ის, რომ ეგვიპტეში რევოლუციის დაწყებიდანვე ესწრაფვოდეს უშუალოდ დაამყაროს ბატონობა არაბულ სამყაროში. მან დაგმო ბადდადის პაქტი, რომელიც ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს, როგორც ახლო აღმოსავლეთზე იმპერიალისტური გავლენის ინსტრუმენტი. შეერთებული შტატები, აღნიშნა პრეზიდენტმა, ცდილობდა ინგლისთან ერთად კონტროლი დაეწესებინა ჩვენდამი. ისინი ცდილობდნენ თავიანთ კონტროლს დაექვემდებარებინათ მთელი ეს რაიონი.

ნასერმა დაგმო ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შემტევ იარაღს აწვდის ტელ-ავივს. შეერთებული შტატების მთავრობამ, თქვა მან, მოიწონა ისრაელისთვის „ფანტომის“ ტიპის 50 თვითმფრინავისა და „სკაიჰოკის“ ტიპის დაახლოებით 100 თვითმფრინავის მიწოდება.

შემდეგ ნასერმა თქვა: „ჩვენთვის მშვიდობა ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორიების, მათ შორის იერუსალიმის, სრულ ევაკუაციას, რის შემდეგ თანახმა ვართ ვცხოთ ისრაელი, ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უფლება და სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემის უფლება. მხოლოდ მაშინ იქნება მშვიდობა. მაშინ არ იქნება საჭირო არც პოლიციური ძალები, არც დემილიტარიზებული ზონები. რადგან, თუ გადავწყვეტთ ლტოლვილთა პრობლემას და ისრაელი უარს იტყვის ექსპანსიის პოლიტიკაზე, შესაძლებელი იქნება შეთანხმება“.

პრეზიდენტმა ნასერმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მტკიცე კავშირი აქვთ ვაშინგტონსა და ტელ-ავივს. შეერთებული შტატები, თქვა მან, „აკეთებს იმას, რაც ისრაელი ამბობს“. „ამიტომ არა მგონია, რომ შეერთებული შტატების აზრი იყოს იმ აზრის იდენტური, რომელიც ჩამოყალიბებულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში. ჩვენი აზრით, ეს იყო გაწონასწორებული რეზოლუცია“.

ჩვენს ხალხს დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს, განაცხადა ნასერმა. შვიდი ათასზე მეტი წელია ამ მიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენს ცივილიზაციას ბევრი დამპყრობი უნახავს. ახლა შევეჯახეთ ახალ დამპყრობლებს — ისრაელებს. ახლა, არსებითად, საქმე ეხება ჩვენს დამოუკიდებლობასა და ჩვენს ღირებულებს. ჩვენ ქვეყნის, ჩვენი ქალების, ჩვენი ბალხის სიმტკიცე მეტად დიდია. რა სიძნელეებსაც არ უნდა წააწყდნენ ეგვიპტელები, ისინი ფარ-ხმალს არ დაყრიან.

ინტერვიუ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“

◆

ალ-ფეკის განცხადება

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკუთარი). ინგლისის მთავრობის მიერ მისი ახლანდელი პოლიტიკის „განგრძობა ახლო აღმოსავლეთში არ შეუწყობს ხელს სამართლიანი მშვიდობის დამყარებას ამ რაიონში, გაუნებივნა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჰ. ვილსონს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩის წერილზე ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს გადაითაბაროს ისრაელი აგრესორები და მათი მსხვერპლნი.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა არაბთა ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის და მზად არის ითანამშრომლოს ორთ დიდ სახელმწიფოსთან უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განსორციელებისათვის.

□

თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკუთარი). გუშინ აქ მიიღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვილი ბრანდტის წერილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფისადმი. ამას იუწყება ადნის სააგენტო. წერილში ბრანდტმა განაცხადა, რომ არ შეუძლია დაეთანხმოს წინადადებას, რომელსაც შეიცავს გ. შტოფის ამა წლის 11 თებერვლის წერილი 19 ან 26 თებერვალს შეხვედრის შესახებ. ბრანდტის წინადადებაა შეხვედს გ. შტოფს მხოლოდ მარტის მეორე ან მესამე კვირაში.

შტოფმა შესთავაზა ბრანდტს შეხვედრისა პასუხი გასცა ამერიკის იუპის საგენტოს 1969 წლის 22 დეკემბრის პროვოკაციულ ცნობას, რომელიც ამახინჯებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას და ცდილობს შეუქმნას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობას დამახინჯებული წარმოდგენა სახალხო მონღოლეთზე.

სოლსბერი თავისი წიგნით პირდაპირ მოუწოდებს შეერთებულ შტატებს ჩაერიონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. „თუ შეერთებულ შტატებს — წერს იგი, — უნდათ სერიოზული როლი ითამაშონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დისპუტში, მათ ცხოველუნარიანი ურთიერთობა უნდა დაამყარონ ჩინეთთან“. ამერიკის ჩარევის მიზანი სოლსბერის მიხედვით ის არის, რომ საკრძნობი გახადოს თავისი გავლენა პეკინში და... შეასძლებლობა მიიღოს წარმოადგინდეს მოსკოვის მიმართ გამაწონწორებელ მხარეს“.

ამრიგად, საბოლოო შედეგად მთელი ეს ვრცელი გეოპოლიტიკური მკითხაობა შეესაბამება იმპერიალისტური წრეების მისწრაფებებს და ისახავს ფრიად პრიმიტიულ მიზანს — დააშინოს ჩინეთის ხელმძღვანელები საბჭოთა მუქარით და უბიძგოს ჩინეთის ხალხლი რესპუბლიკას ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანხმობისაკენ.

თავის გამოსვლაში კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე მოსკოვში 1969 წლის 7 ივნისს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ხშირად გავლენას ახდენენ უკიდურესად აგრესიული წრეები. მათი აქტივობის ასალვამდეთ საზიანოა სიმტკიცე, უნდა ვამხილოთ მათი ინტრიგები და პროვოკაციები, მუდამ მზად ვიყოთ ხალდრისი პასუხი გავცეთ აგრესიულ ზრახვებს. სწორედ ასეთ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის“.

ამაოა იმის ცდები, რომ დაამახინჯონ და „აგრესიულად“ წარმოადგინონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ემყარება მათი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ძალის გამოუყენებლობის პრინციპებს. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ სსრ კავშირი აკეთებს ყველაფერს, რათა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთანაც არსებობდეს ამ პრინციპებზე დამყარებული კეთილმეზობლობის ურთიერთობა. ეს შეესაბამება ორივე ჩვენი ქვეყნის და მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებს.

ს. ტიხვინსკი.

„პრავდა“, 15 II, 70 წ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

□

უტ ევენ ოკუპანტებს

ბაირუთი, 18 თებერვალი. (საკუთარი). დღეს ეგვიპტის თვითმფრინავების ორჯერ დაესხნენ თავს ისრაელის პოზიციებს სუეცის არხის ჩრდილოეთ სექტორში, იუწყება მენის სააგენტო.

როგორც საგანგებომ გადასცა, ეგვიპტის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადგილობრივი დროით დილის 8 საათზე ეგვიპტის თვითმფრინავების ჯგუფი თავს დაესხა მოწინააღმდეგის თავდაცვის ნაგებობებს და სამხედრო ტექნიკის თავმოყრის პუნქტებს ალ-ბალაიახის რაიონში.

პატრიოტთა წარმატებანი

ქაჯარი, 18 თებერვალი. (საკუთარი). ბისაუს გვინეის აფრიკელმა პატრიოტებმა გასული წლის დეკემბერსა და ამა წლის იანვრის პირველ ნახევარში დახოცეს 125 პორტუგალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამას იუწყებიან გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის კომუნიკეში.

სომოსა იარაღდება

სან-ხოსე, 19 თებერვალი. (საკუთარი). ნიკარაგუის დიქტატორი სომოსა ჯანაგრძობს შეიარაღებას. ამ საქმეში მას ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატები. ამ დღეებში ნიკარაგუაში, როგორც აღვიღერბრივი გაზეთი „პრენსა“ იუწყებოდა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღეს ჯავშნიანი ავტომობილების და სხვა იარაღის ახალი პარტია. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი სამხედრო აღჭურვილობა პირველ რიგში გათვალისწინებულია ქვეყნის მშრომელთა დემოკრატიული გამოსვლების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებისათვის. ტყუილად როდი გადასცეს თითქმის მთელი ეს იარაღი ეგრეთ წოდებულ „სომოსას ბატალიონს“, რომელიც „წესრიგს იცავს“ ქვეყანაში.

სსრ კავშირი — ფოტო-70

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. (საკუთარი). „ნატო ხელყოფს კვიპროსის სუვერენიტეტს“, „საკვანძო კვიპროსის წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეების დივერსიების შესახებ“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ პოლონეთის ცენტრალური გაზეთები საკვანძო განცხადებას კვიპროსში მოვლენათა სიმწვავის გამო. გაზეთი „ტრიბუნა პარმასი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით უჭერს მხარს კვიპროსის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ სუვერენობას და მოითხოვს კვიპროსში უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, აგრეთვე კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას გარედან რაიმე ჩარევის გარეშე.

პრაღა, 18 თებერვალი. (საკუთარი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები აქცენტებს საკვანძო განცხადების შინაარსის კვიპროსის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის აგრესიული რეაქციის ხრიკების შესახებ. „საბჭოთა კავშირი მოითხოვს ბოლო მოეღოს საერთაშორისო იმპერიალისტური წრეების ძირგამომთხრელ საქმიანობას კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ პრაღის გაზეთები განცხადების ნაწყვეტებს, რომელიც შეიცავს მოწოდებას მშვიდობიანად გადაიჭრას კვიპროსის პრობლემა გარედან ჩაურევლად.

თეირანი, 18 თებერვალი. (საკუთარი). „რუსებმა ამწილეს ნატოს შეთქმულება კვიპროსში ძალადობრივი გადატრიალების მოსამზადებლად“, — წერს გაზეთი „ქეიხანი“, რომელიც განმარტავს საკუთარს განცხადებას კვიპროსის მდგომარეობის შესახებ.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს საკიროდ მიაჩნია ბოლო მოეღოს კვიპროსის საზელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელსაც ეწევიან საერთაშორისო იმპერიალისტური წრეები კვიპროსის შინაური რეაქციის დახმარებით.

ულან-ბატორი, 19 თებერვალი. (საკუთარი). საკუთარის განცხადება კვიპროსის ამბების შესახებ გამოაქვეყნეს მონღოლეთის გაზეთებმა და გადასცეს ულან-ბატორის რადიოსი.

ულან-ბატორის რადიოს კომენტარებში აღნიშნულია, კერძოდ, რომ მონღოლეთის საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს იმპერიალისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მხარს უჭერს კვიპროსის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას კუნძულზე.

□

შეხედულებათა სრული ერთიანობა

პრაღა, 19 თებერვალი. (საკუთარი). ჩეხოსლოვაკია-ბულგარეთის მოლაპარაკებამ ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ ძირითად საკითხზე, ხაზგასმულია კომუნიკეში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის 17-19 თებერვლის მეგობრული ვიზიტის შესახებ.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულითად და ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ჟივკოვმა ორივე კომუნისტური პარტიის სახელით განაკეთეს, რომ ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ თავიანთი ძმური კავშირი, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობასა და შეკავშირებას, მისი ძალისა და ძლიერების განვითარებას, აღნიშნული კომენიკეში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა.

ორივე მხრივ პარტიამ კვლავაც დაადასტურა, რომ სავსებით ეზიარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის მოსკოვის საერთაშორისო თათბირის დასკვნებს. სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო ერთიანობა და სოლიდარობა, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება და სსრ კავშირთან გულწრფელი მეგობრობა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას, ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობის, აყვავებისა და უშიშროების გარანტიაა. სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობა და კოორდინირებული მოქმედება ხელს უწყობს გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას ევროპასა და მსოფლიოში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გ. ჰუსაკმა და ტ. ჟივკოვმა განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები. მათ მაღალი შეფასება მისცეს სოციალისტური ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრას 1969 წლის დეკემბერში.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორივე პარტია და ქვეყანა კვლავაც მხარს დაუჭერენ ევროპის უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. ისინი სავსებით უჭერენ მხარს გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან მოთხოვნას ცნონ იგი საერთაშორისო-სამართლებრივ სახელმწიფოდ. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა სოლიდარობა გაეტანათ ხალხთან ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ დაგმეს ისრაელის მზარდი აგრესიულობა და მხარი დაუჭირეს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. პრაღის კრემლის ხედი ვლტავაზე.

ფოტო ჩტკ-საკ ესისა.

რ. ნიქსონის წერილი

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. (საკუთარი). დღეს პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა 1970-იან წლებში“. ეს განცხადება აქ მიაჩნიათ მთავრობის საპროგრამო დოკუმენტად ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი წლების საგარეო და სამხედრო პოლიტიკის საკითხებზე.

თუმცა წერილში ლაპარ

საქართველოს ხმა და ბაირაღი

სპორტი

კომკავშირული საგზურით

ქალაქ ტოლიატში გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდების ერთი ჯგუფი

□

დარბაზში ახალგაზრდები სხედან. ჩანს, ზოგიერთი მათგანი დღეს აქ პირველად შესულა ერთმანეთს, ჩვენს თვალწინ ეცნობიან, ურთიერთს ეკითხებიან: რა გვარი ხართ? საიდან? კომკავშირელი ხართ? ჩვენთან მოდიხართ, ხომ? კარგია! ეს ის ახალგაზრდებია, რომლებიც კომკავშირული საგზურებით მიემგზავრებიან კუბიშევის ოლქის ქალაქ ტოლიატში ახალ, საავტომობილო ქარხნის კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობაზე.

აი რუსთაველები — კალატოზი გიორგი არაბული, მემონტაჟე ბერდო ბერუკაშვილი, სხვადასხვა პროფესიის მქონე გურჯაანელი თენგიზ გელაშვილი, სამტრედიელი ზაურ შენგელია, გურამ ბაბანოვი, ვ. სარუხანოვი და სხვები. ბიჭები ხალისიანად გვესაუბრებიან, ამბობენ, რომ ეცდებიან საუკეთესოდ იმუშაონ.

და აი ამ ახალგაზრდებს გამგზავრების წინ, შესვედრა მოუწყეს და გზა დაულოცეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. აქ მათ უთხრეს:

— თქვენი— ახალგაზრდების ადგილია ახლო დამკვრელურ მშენებლობებზე, — ქალაქ ტოლიატში, სადაც თქვენ მიდიხართ, ჩვენგან წარგზავნილი 115 ახალგაზრდა მუშაობს, ისინი კმაყოფილნი არიან, მათ ემადლიერებიან ტოლიატელი მშენებლები. შესანიშნავი პირობები გხვდებათ. ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, როგორ ასახლებთ თქვენს რესპუბლიკას, აღმშრდელ კომკავშირს, სკოლას, ოჯახს. მშენებლობაზე სწავლისა და ცხოვრების საუკეთესო პირობები გექნებათ. მართალია, ჯერ იქ მუშა იქნებით, მაგრამ ეცადეთ ისწავლოთ, გაახდეთ ინჟინრები და თვითონ გაუძღვეთ ქარხნის დიდ უბანს.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არ შევარცხვინოთ რესპუბლიკის სახელი, ვასახელოთ საქართველოს კომკავშირი, რომელშიც ჩვენ აღვიზარდეთ, ამბობს საქართველოს წარგზავნილი, პარტიის წევრი ა. გაგნიძე.

გზა დაგელოცოთ, ახალგაზრდებო!

ქალაქი ფერად ტელეგადაცემას იღებს

ბუენოს-აირესი. (საკ. კორ.). ფერადი ტელევიზიით აქ ბევრი ტელემოყვარული დაინტერესდა. შეიძლებოდა თუ არა მეშახტეთა ქალაქის მოსახლეობას მიეღო ფერადი გადაცემები? ამ ტექნიკურ პრობლემაზე თითქმის ერთი წელი იმუშავა სატელევიზიო სადგურის კოლექტივმა. ადგილობრივმა ტელემოყვარულებმა ჩაატარეს მრავალი ექსპერიმენტი, მოახდინეს სატელევიზიო სადგურის მიმღები და გადამცემი აპარატურის კორექტირება, რათა უდეფექტოდ გატარებულიყო შვიდივე ფერთა სპექტრი.

ცდები და ძიება წარმატებით დამთავრდა. ქალაქში ახლა რეგულარულად იღებს ფერადი ტელესტუდიის გადაცემებს თბილისიდან და მოსკოვიდან. აქ უკვე შეიქმნა ფერადი გადაცემის საკონტროლო პუნქტი, სადაც ფერადი ტელევიზორების მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ გაარკვიონ ტელეგამოსახულებათა მიღების ხარისხი.

გამარჯვებული პანსიონატი

ზღვის სანაპიროზე, თვალწარმტაც ადგილას გაშენებულია პანსიონატ „ბათუმის“ მრავალსართულიანი შენობა. დამსვენებლები მუდამ ხალისით ეტანებიან პანსიონატს, და ეს შემთხვევითი როდია, მათ იზიდავთ არა მარტო აქარის სასიამოვნო თბილი ჰავა, შავი ზღვის სურნელება, არამედ თვით პანსიონატის მომსახურე პერსონალის განსაკუთრებული მზრუნველობა და გულისხმიერება. განვლილი 5 წლის მანძილზე პანსიონატში დაისვენა 40 ათასზე მეტმა კაცმა და ერთხელაც არ ყოფილა, რომ დამსვენებელს საყვედური გამოეთქვას.

პანსიონატის გულისხმიერმა კოლექტივმა ახლახან დაიმსახურა საკავშირო კურორტთა მართვის საბჭოსა და მედიცინის მუშაკთა პროფსაბჭოს საპატიო სიგელი სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, რომელიც დაწესებული იყო ლენინის დეკრეტის „კურორტების შექმნის“ 50 წლისთავთან დაკავშირებით.

პანსიონატს ახლოვეე გადაეცა გარდამავალი ვიმპელი „კვების ბლოკში საუკეთესო მომსახურებისათვის“.

საქმის აგრონომენტი

სიახლე მუშრომელთა მომსახურებაში

რუსთავი. (საკ. კორ.). მუშას-სურს ისე ისადილოს, რომ რიგში დგომა არ დასჭირდეს. ჯიდევაც აქვს ამის უფლება. ქარხანათა საამქროებში წინასწარ იყიდება სადილის ამონეშენტები. ასეთი ამონეშენტის მფლობელებისათვის სასადილოში მოწყობილია ცალკე ხაზი. აქ სადილების გაცემა ისე ხდება, რომ მუშას აღარ სჭირდება ლოდინი. გარდა ამისა, წინასწარ შეძენილი ამონეშენტის მფლობელი გაცილებით ნაკლებს იხდის სადილში, ვიდრე ჩვეულებრივი სადილობისას.

ეს სიახლე რუსთავის საზეიმების ტრესტმა პირველად შარშან დანერგა ქარხანა „ცენტროლიტში“. ამ მეთოდმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ახლო მომავალში იგი მასობრივად დაინერგება ყველა მუშათა სასადილოში.

მუშათა მომარაგებაში არის სხვა სიახლენიც. ყოველ პარასკევობით ქარხნების მახლობლად ეწყობა ეკონომიური და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. განსაკუთრებით კარგად ეწყობა ეს დღესასწაულის დღეებში. საზეიმოდ ამ სიახლის დანერგვა მკვეთრად ზრდის საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციას. ეფექტური გამოდგა უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ცხელი სადილების მიწოდების პრაქტიკა.

ეს ძირითადად იმ ადგილებში ეწყობა, სადაც ახლომახლო მუშათა სასადილოები არ არის.

მაუურეგელმა ნახა პრემიერა

ცაგერი, (საკ. კორ.). ამ დღეებში საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა ცაგერის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა — ბ. ბეცურიანის დრამა „მზის ამოსვლამდე“.

პიესა ეხება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას. სპექტაკლის რეჟისორია ს. კოპალიანი. თეატრის კოლექტივმა ეს ახალი დადგმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიუძღვნა.

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ჩოხატაურის სახალხო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა წარმოადგინა ალ. ყაზბეგის „ბევისბერი გოჩა“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა კ. გოგბერიძემ. მაყურებელს მოეწონა თვითმოქმედი მსახიობების ლ. გავაშელიშვილის, ბ. ღამბაშიძის, ზ. სიხარულიძის, ზ. კეკელიძის და სხვების თამაში.

ხაშური. აკაკი გეწაძის დრამა „წვინდანები ჯოჯოხეთში“ წარმატებით დადგმება სახეთმწიფო თეატრების სცენაზე. ამჯერად იგი ხაშურის სახალხო თეატრის სცენაზე წარმოადგინეს.

ხაშურელებმა ეს სპექტაკლი, რომლის დადგმა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დიპლომანტმა მ. ავაქიანმა ეკუთვნის, ლენინის იუბილეს მიუძღვნეს.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ სცენისმოყვარეები ვ. ჯიკნაძე, გ. გელაშვილი, ი. ბარბაქაძე, გ. მაისურაძე, მ. ავალიანი, თ. ბათიაშვილი და სხვ.

თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საიპლომო კომისიამ დიპლომანტის ნამუშევარს კარგი შეფასება მისცა.

ნ. კიპაროიძე.

ქაქალი ექსპონატები

ონი. (საკ. კორ.). მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დიდ მუშაობას ეწევა მთიანი რაჭის ღირსშესანიშნაობათა შესწავლისათვის. კომპლექსურმა ექსპედიციებმა მრავალი მასალა შეკრიბეს წინათ გავრცელებულ წარმოების იარაღებზე, ხელსაწნაზე, ხე-ტყის დამუშავებაზე, ექსპედიციის წევრებმა შეაგროვეს საკურთხლო მცენარეები და ჩაიწერეს ხალხში გავრცელებული მათი ხმარება-გამოყენების წესები. მაგნიტოფონზე აღბეჭდეს შორეულ სოფლებში — ღებსა და გლოლაში გავრცელებული ძველი ხალხური სიმღერები.

მუზეუმს კარგი ექსპონატი — ფერადი ძაფებით შესრულებული ვ. ი. ლენინის პორტრეტი — უსახსოვრა საბჭოთა კავშირის გმირის ე. კობერიძის მეუღლემ. დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევს რაიონის მკვიდრის თვითნასწავლ ნ. რეხვიაშვილის ხეზე კვეთილობა — ვ. ი. ლენინის ფიგურა.

მუზეუმმა მოაწყო ორი მოძრავი გამოფენა — „სამკურნალო მცენარეები“ და „რაჭის მრეწველობა“, რომელიც 5 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

□

ჩემპიონთა თასზე

გუშინ მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და საფრანგეთის „ვილერბანის“ გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა 109:70.

ტელევიზია

20 თებერვალი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ნევის პროსპექტი“, 12.15 — მხატვრული ფილმი „ქეიჟის მიმართულებით“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — გადაცემა ბავშვებისათვის „ცანგალა და გოგონა“, 18.20 — სპეციალისტის რჩევა „ეკონომიური ღონისძიებათა ეკონომიური მნიშვნელობა“, 18.40 — კონცერტი, 19.15 — გადაცემა ციკლიდან „სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — „მღერიან კინოდარსკვლავები“, 20.55 — მხატვრული ფილმი „გაქცევის ცდისას“, 22.15 — თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატთა კონცერტი. საქართველოს თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რადიო

21 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — ი. შარაული. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 12.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მიმოხილვა, 12.45 — უკრავს ხაკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მღერის ვაჟთა ვოკალური კვარტეტი გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით, 14.00 — „საბრის მასწავლითი“, 14.30 — მენდელსონი. მუსიკა შექსპირის კომედიისათვის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, 15.00 — გ. ლორთქიფანიძე. „ნატვრის თვალი“. რადიოდადგმა, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი-საუბარი „მოგონებანი ვ. სარაჯიშვილზე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „მეგობრობის კონცერტი“, 18.10 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45 — პოპულარული საოპერო არიები, 19.00 — „თქვენთვის და თქვენს შესახებ“. რადიოჟურნალი ქალებისათვის (მოსკოვი), 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.20 — ი. შარაული. ვალსი „ცისფერი დუნაი“, 20.30 — ახალგაზრდობისათვის. „ჩვენი ახალგაზრდული ესტრადა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, 22.00 — ს. ნასიძე. მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 22.50 — ი. შუმანი. ორი პიესა ფორტეპიანოსათვის, 23.30 — ა. ოსტროვსკი. სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

სპორტი

ათი ჭულის სკვპრაგით



ერისკვნის ბიბლიოთეკა

უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა გუნდებს არდადეგები აქვთ. გამონაკლისს მხოლოდ ორი მათგანი შეადგენს — ცსკა და თბილისის „დინამო“, რომლებსაც გარდა საშინაო საქმეებისა გადასაჭრელი აქვთ სხვა მეტად პასუხსაგები ამოცანა — ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში წარმატებით მონაწილეობა.

ასეთ ტურნირებში დინამოელები ახალბედები როლი არიან. მათ აქვთ არა მარტო სატურნირო გამოცდილება, არამედ გამარჯვებათა ტრადიციაც. თუ ადრე თბილელ კალათბურთელებს ჩემპიონთა თასისათვის მებრძოლთა რიგებში ვხედავდით, უკანასკნელ სეზონებში მათ როლები შეიცვალეს — ახლა ისინი თასების მფლობელთა თასს უმიზნებენ. მართალია, ეს თასი ჯერ თბილისში არ ჩამოუტანიათ, მაგრამ შარშანდელი გათამაშების ფინალში მონაწილეობა თავისთავად ხომ წარმატებას ნიშნავდა.

არც ის არის დასამალი, რომ დღეს დინამოელთა სატურნირო მდგომარეობა საკავშირო ჩემპიონატზე ბევრი არაფრით ბრწყინავს. მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ის ცვლილებები, რაც გუნდში ხდება. ასეთი კრიზისი დროთა განმავლობაში თითქმის ყოველ გუნდს აქვს. ამიტომ ჩვენს თანამემამულეებს სწორედ ახლა ესაჭიროებათ დახმარება, მხარდაჭერა, რომ კოლექტივი ღრმად იყოს დარწმუნებული თავის ძალებში.

აი სწორედ ასეთ ეტაპზე მოუხერხა თბილისის დინამოელებს თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა ვარშავის „პოლონიასთან“, რომელსაც პოლონეთის ჩემპიონატში მეხუთე ადგილი უჭირავს. პირველი ასეთი შეხვედრა ვარშავაში შედგა და დამთავრდა თბილისელთა წარმატებით 5 ქულის სხვაობით (82:77).

გუშინ ეს გუნდები კვლავ პირისპირ იდგნენ, მაგრამ ამჯერად თბილისის სპორტის სასახლეში. მწვრთნელებმა გმოხმა და ინჭკირველმა ასეთი სასტარტო ხუთეული შემოგვთავაზეს: „პოლონია“ — გული, პისკუნი, ენჯეევსკი, ლიკერსკი, ნოვაკი; „დინამო“ — საკანდელიძე, ლეჟავა, ჭორჭია, ბოლქვაძე, ჩიხლაძე.

თბილისელთა ამ ხუთეულმა დაწყისში ცეცხლოვანი თამაში გვიჩვენა, ქულათა სხვაობა დინამოელთა სასარგებლოდ იზრდებოდა, მეხუთე წუთისათვის ანგარიში უკვე 16:6 იყო. ასეთ ვითარებაში მასპინძლებმა ერთბაშად რამდენიმე მოთამაშე შეცვალეს, იქლო ტემპმა, ფარქვეშ ბრძოლას თან ხდებოდა უზუსტობანი, სტუმრები კი შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნებით თითქმის ყოველთვის მიზანს აღწევდნენ და მეათე წუთისთვის წონასწორობაც აღდგინეს — 22:22. ერთი წუთის შემდეგ კი წინ იყვნენ პოლონელები და ტაიმიც მათ მოიგეს 39:37.

მეორე ნახევრის დასაწყისში ჭორჭიამ და ბოლქვაძემ ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში 39:39, 41:41, მეათე წუთისათვის თბილისელები დაწინაურდნენ 10 ქულით 65:55. ასეთი სხვაობა ბოლომდე იქნა შენარჩუნებული, დინამოელებმა გაიმარჯვეს 82:82.

თავიანთ გუნდებს ყველაზე მეტი ქულები მოუტანეს: პოლონელებიდან გულამ (29) და ნოვაკმა (26), თბილისელებიდან — უგრუხელიძემ და საკანდელიძემ (17-17).

ჩვენი მორიგი მეტოქე იქნება იტალიის გუნდი. პირველი ნახევარფინალური მატჩი შედგება იტალიაში, მეორე — თბილისში.

ვ. გაბელია.

სურათზე: მეტოქის ფარზე იერიში მიაქვს მ. ჭორჭიას.

ფოტო მ. ზარბარინისა.

„ლოკომოტივი“ — სსრ კავშირის თასი

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება შაიბაში ჰოკეიში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და „დინამო“. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1 და სსრ კავშირის თასი მოიპოვეს.

ტურნე ავსტრალიაში

კანბერა, 18 თებერვალი. (საკუთარი). მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი მატჩი გამართეს საზღვარგარეთ. ახლა დინამოელები ტურნეს მართავენ ავსტრალიაში და დასავლეთ ავსტრალიის შტატის დედაქალაქ პერტში შეხვდნენ შტატის ნაკრებს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 5:0.

პირველ ტაიმში ერთადერთი ბურთი გაიტანა ევროპელებმა, მეორე ტაიმში კი თავი ისახელეს სიომინმა, ანიჩკინმა და ორჯერ ეშტრეკოვმა.

„დინამო“ გაემგზავრა

გუშინ თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. დღეს ჩვენი თანამემამულეები იტალიაში გაემგზავრებიან, სადაც გამართავენ ორ საერთაშორისო შეხვედრას. ეს მატჩები ნავარაუდევია 22 და 25 თებერვლისათვის.

საკონცერტო ბაზის

სოხუმი. (ტელეფონით საკ. კორ.). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ეშელის ცენტრალური სპორტული გამაჯანსაღებელი ბაზის სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ერევნის „არარატისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ერევნელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2.

ლიუგლიანა ფიგურისტებს მოელის

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში ლიუბლიანაში გაიმართება. ჩვენ უკვე ვიცავით ევროპის ჩემპიონატის ფიგურისტებს სია. ესენი არიან: წყვილთა სრიალში — როდნინა დაულანოვი, სმირნოვა და სუროიკინი, კარელინა და პროსკურინი, ცეკვებში — პოხომოვა და გორშკოვი, ვაიტიუკი და ჟიგალინი, ჟარკოვა და კარპონოსოვი, ერთეულებში: ვაკები — ჩეტვერუხინი და ვოლკოვი, ქალებში — ალექსანდროვა და შჩეგლოვა.

„სპარტაკს“ — სსრ კავშირის თასი

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება შაიბაში ჰოკეიში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და „დინამო“. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1 და სსრ კავშირის თასი მოიპოვეს.

ტურნე ავსტრალიაში

კანბერა, 18 თებერვალი. (საკუთარი). მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი მატჩი გამართეს საზღვარგარეთ. ახლა დინამოელები ტურნეს მართავენ ავსტრალიაში და დასავლეთ ავსტრალიის შტატის დედაქალაქ პერტში შეხვდნენ შტატის ნაკრებს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 5:0.

პირველ ტაიმში ერთადერთი ბურთი გაიტანა ევროპელებმა, მეორე ტაიმში კი თავი ისახელეს სიომინმა, ანიჩკინმა და ორჯერ ეშტრეკოვმა.

საკონცერტო ბაზის

სოხუმი. (ტელეფონით საკ. კორ.). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ეშელის ცენტრალური სპორტული გამაჯანსაღებელი ბაზის სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ერევნის „არარატისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ერევნელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2.

ნორჩები საცურაო ბილიკებზე

ჰიაშურაში, „მაღაროელის“ ცენტრალური სტადიონის ზამთრის საცურაო აუზში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობის გათამაშება ცურვაში 1954-1955 წლებში დაბადებულ ნორჩ სპორტსმენთა შორის. გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშების ზონალურ ასპარეზობაში, რომელიც მარტის დასაწყისში გაიმართება ერევანსა და ბაქოში.

შეჯიბრებაზე ბრწყინვალედ გამოვიდა თბილისელი სპორტის „ოსტატი ირა ზოტოვა („განთიადი“). მან პირველი ადგილები დაიკავა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით, 100 და 200 მეტრზე გულაღმა, 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. ირა მეორე იყო 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, წარმატებით იასპარეზა აგრეთვე თბილისელმა დინამოელმა მარინე ყულიჯანოვამ.

ჭაბუკთა შორის თავი ისახელა სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ივლევამ (თბილისის „დინამო“). მან მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასით, 200 და 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე იყო ბათუმის გუნდი, მესამე — ჰიათურის მცურავთა კოლექტივი.

თ. შეყილაძე.

სურათზე: ირა ზოტოვა.

ფოტო ავტორისა.

ასპარეზობათა პანორამა

● ბაქოში ფინიში აქვს სსრ კავშირის თასის გათამაშებას ფარიკაობაში, რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობაში წარმატება ხვდა ლვოველ სპორტსმენს მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის ოქროს მედალოსან ვ. სტანკოვიჩს, რომელმაც დასკვნით შეჯიბრებაში სძლია ვ. დენისოვს ანგარიშით 5:3. ქალთა შორის გაიმარჯვა ვ. გორობცოვამ.

● ევროპის მეორემეტე საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 32 ქვეყანამ. ტურნირის პირველი ეტაპის წილისყრას ფეხბურთის ასოციაციის ევროპის კავშირი გამართავს 20 მარტს რომში.

რედაქტორი დ. მგელაძე.

საესტრადო ხელოვნება

სურათზე: ზემოთ — მღერის პოლონელი მსახიობი ანა პეტშაკი, ქვემოთ — ესტრადაზეა იადვიგა ლანდი.

ფოტო: ს. ბილაძისა და ა. კაპკასიძისა.

შესვედრები ექვსბრებთან

თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თბილისელები კვლავ შეხვდნენ პოლონეთის ესტრადის მსახიობებს, რომელთა კონცერტის აფიშაზე წერია „შეხვედრები მეგობრებთან“. და მართლაც, თბილისელებს პოლონეთის მსახიობებთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია პოლონელ მსახიობთა ვასპროლებმა.

ვარშაველთა ანსამბლი „ჰელიონი“ უკვე იყო ულიანოვსკში, ალმაატაში, ტაშკენტში, აშხაბადში და ამჯერად თბილისს ეწვია.

კონცერტის დასაწყისში ვხედავთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ლილიანა ურბანსკას, რომელიც ფლეიტაზე ასრულებს პოლონელი კომპოზიტორის სტანისლავ მონიუშკოს სიმღერას, დამუშავებულს ხალისიანად. მასვე, ლილიანა ურბანსკას, ვხვდებით მეორე განყოფილებაში როგორც მომღერალს.

ესტრადაზე ერთმანეთს სცვლიან მომღერლები იადვიგა სტშელიცკა, ანა პეტშაკი, ალიცია მაევსკი, რომლებიც ასრულებენ პოლონელ და უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერებს.

კონცერტში მონაწილეობს ვლოდიმერ პატუშინსკი (ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი). მას მსუბუქი იუმორით მიჰყავს კონცერტი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სდისლავ სალამონოვიჩი. მისი მახვილი პაროდიები, რეპრიზები, მსუბუქი იუმორი კონცერტს მხიარულ ელფერს ანიჭებს.

მეორე განყოფილებაში ესტრადაზე ვხვდებით მომღერლებს იადვიგა ლანდს, რომელიც შთამბეჭდავად ასრულებს არიას გურშვინის ოპერიდან „პორგი და ბესი“, ადამ ზვეშს და ედვარდ პუღუვიჩს, რომელსაც თბილისელი ესტრადის მოყვარულნი იცნობენ მრავალრიცხოვანი ტელეგადაცემებიდან.

ვოკალისტებს მუსიკალურ თანხლებას უწევს ინსტრუმენტული კვარტეტი: კმიშტოვა სადოვსკი (პიანისტი, მუსიკალური ხელმძღვანელი), იან სლოდკოვიჩი (დასარტყმელი ინსტრუმენტები), კმიშტოვა სლოდკოვიჩი (წამყვანი გიტარა) და იანუშ კომანი (ბანი გიტარა).

კვარტეტს გამომუშავებული აქვს რიტმის კარგი გრძნობა, მაგრამ იმდენად ხმამაღლა უკრავენ, რომ მომღერალს ალარ რჩება შესაძლებლობა მუსიკალური ნიუანსირებისათვის და ხშირად ვოკალისტის ხმას „ფორტეს“ თანხლება საერთოდ ფარავს.

კონცერტი მსმენელმა გულთბილად მიიღო.

ზ. რცხილაძე.

მეხუთე ოქრო.

ჩეხოსლოვაკიის მაღალი ტატრების თეთრ ბილიკებზე ცხელა. აქ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მოთხილამურეებს ყოველდღიურად შეუპოვარი ბრძოლა აქვთ საპრიზო ადგილებისათვის. თუ გადავავლებთ თვალს განვლილ ბრძოლებში მოპოვებულ მედლების რაოდენობას, ყველაზე მეტი ნადავლი საბჭოთა სპორტსმენების განკარგულებაშია. გუშინდლამდე მათ ჰქონდათ ოქროს ოთხი, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ოთხი მედალი.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილე ვაჟებს პაექრობა ჰქონდათ ესტაფეტაში 4X10 კილომეტრზე. საბჭოთა მოთხილამურეებმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს და ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუტანეს. ვერცხლის პრიზიორი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი. შვედებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლაში ა. ოლიუნინა.

თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს:

1. საქალაქო (ადგილობრივი) სატელეფონო სადგურების დანადგარების ექსპლოატაციისა და მომსახურების კავშირგაბმულობის მონტიორებს; 2. საქალაქო სატელეფონო ქსელების, ტექნიკური მომსახურებისა და სააბონენტო მოწყობილობათა შეკეთებელ მონტიორებს; 3. მეკაბელე-მრჩილავებს; 4. ელექტროხელსაწყოების ტექნოლოგიური დანადგარების ამწყობ ზეინკლებს; 5. მტვიფრავებს.

სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან 16-დან 30 წლამდე ასაკის საშუალო და არასრული საშუალო განათლების გოგონები და ვაჟები.

მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას, ავრეთვე საწარმოებში და სასწავლო სახელოსნოებში მათ მიერ გამომუშავებულ ხელფასს, დადგენილი წესის მიხედვით.

კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით სპეციალობის მიხედვით.

სწავლების დრო ეთვლებათ უწყვეტ საწარმოო სტაჟად. ფრიადზე კურსდამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში (პროფილის მიხედვით) ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე. 2. განათლების მოწმობა (ატესტატი დედანი), 3. პასპორტი, სამხედრო ბილეთი, ან სამხედრო მიწერის მოწმობა, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. დაბადების მოწმობა, 6. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. № 115, ტელეფონი 93-61-83, ავტობუსი: № 19 და № 23, ტროლეიბუსი № 10. გაიკრება ქარხანა „ელექტროავტომატთან“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ქუთაისის № 37 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მჭისველები აბრეშუმის და შალის, 2. ჩხოვილის მხატვრულად გამფორმებლები.

სასწავლებელში მიიღებიან სამუალო და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, გოგონები 16-დან 25 წლის ასაკამდე.

სწავლების ვადა 1 წელია.

სასწავლებელში სწავლების ვადა ითვლება საწარმოო სტაჟად. ის მოსწავლეები, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ და სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, უმაღლესი სასწავლებლის სალამოს და დაუსწრებელ განყოფილებებში მიიღებიან უკონკურსოდ, ხოლო მოსწავლეებს, რომლებსაც საშუალო განათლება არა აქვთ, საშუალება ეძლევათ სწავლა განაგრძონ სასწავლებელთან არსებულ მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლის შესაბამის კლასებში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, სამჯერადი კვებით და ტანსაცმლით.

მიღებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე პროფესიის ჩვენებით, 2. ცნობა განათლების შესახებ (დედანი), 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფ. № 286, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. სურათი 4 ცალი (ზომით 3X4).

განცხადებების მიღება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 1 მარტამდე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, სწავლა დაიწყება 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართი: ქუთაისი, კიროვის ქ. 93 ა.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-90-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28